საპროტესტო და ბოიკოტირების კამპანიები სპორტულ ღონისძიებათა წინააღმდეგ

ეკატერინე ცუცუნაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საზოგადოებასთან

ურთიერთობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის

მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით პაიჭაძე(ასისტენტ-პროფესორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, გავარკვიოთ თუ რამდენადაა პოლიტიკა და სპორტი კავშირში ერთმანეთთან, ან პირიქით შესაძლებელია თუ მათი გამიჯვნა ერთმანეთისგან.თემის აქტუალიზაცია გამოიწვია საქართველოში განვითარებულმა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა - რაც გულისხმობს : საქართველოს წასვლა არ წასვლის საკითხს სოჭის ოლიმპიადაზე, მოკვლეულ იქნა მსოფლიო ისტორიაში არსებული პოლიტიკური და სხვა ტიპის უკმაყოფილების მიზეზით გამოწვეული საპროტესტო თუ ბოიკოტირების კამპანიების მაგალითები, რომლის გამოც ხელი შეშლია ამა თუ იმ სპორტული ღონისძიების ჩატარებასა თუ სპორტსმენის კარიერულ წინსვლას. მოკვლევის შედეგად აღმოჩნდა,რომ ყველაზე ფართო მასშტაბიანი საპროტესტო შემთხვევები ძირითადად ოლიმპიურ თამაშებსა და პოლიტიკურ ბოიკოტს უკავშირდება,რომელსაც როგორც ნაშრომში ვნახავთ აქტიურად იყენებდა სხვადასხვაქვეყანა პოლიტიკური დამოკიდებულების დასაფიქსირებლად.